ხონი

2021 წელი
28
მაისი
პარასკევი
№6 (7527)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

26 მაისი

26 მაისი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეა (1918-21 წ.წ.). ესაა დღე თავისუფლებისა და ქართული ერის ღირსებისა. გილოცავთ!

წელს კიდევ უფრო მეტი სიამაყე შეიძინა 26 მაისმა. თითქმის საუკუნის შემდეგ ქართულ მიწას მიაბარეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავარსარდალი, გენერალი **კვინიტაძე,** რომლის ნეშტი საფრანგეთის პატარა ქალაქ შატოდან ჩამოასვენეს და დაკრძალეს მთაწმინდაზე, ჩვენი ეროვნული გმირის **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** გვერდით. გენერლის ქალიშვილმა, მამის ანდერძის თანახმად, მისი მნიშვნელოვანი არქივიც გადმოსცა საქართველოს.

გენერალი საქართველოს პრეზიდენტის **სალომე ზურაბიშვილის** ძალისხმევით ჩამოასვენეს... **...26 მაისს, თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდს მერაბ კოსტავას 82 წელი შეუსრულდა. მერაბი და ზვიადი სისხლით მოპოვებული თავისუფლების სიმბოლოები არიან.** მათი ღვაწლი დიდია ჩვენი ერის ისტორიაში. მათთან ერთად დიდება და მარადიული ხსენება ყველა დროში თავისუფლებისათვის დალუპულ ვაჟკაცებს.

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე

მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცეს ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს მერის პირველმა მოადგილემ **მანანა გოფოძემ** და კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა **მარიკა რუხაძემ.**

მუზეუმის თანამშრომელს, დიდ მოამაგესა და მოღვაწეს ბატონ **ავთანდილ ფაილოძეს** 70 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში.

გაიმართა შეხვედრები

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში, საბიუჯეტო ორგანიზაციების ნარმომადგენლებისათვის საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. საიას იმერეთის ბიუროს ხელმძღვანელმა **ზაალ გორგიძემ** აუდიტორიას ძალადობის, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების მხრივ საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების და შრომითი უფლებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

ვორქშოპი სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის ფილიალის „თბილისის პროექტთა ბიურო" (შემდგომში DVV international) ინიციატივითა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს (DRC) პროექტის „დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა განათლებისა და სოციალური მეწარმეობის გზით" ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიების მხარდამჭერია ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა.

ინტელექტუალური კალეიდოსკოპი

2021 წლის იანვრიდან განახლდა ონლაინ მატრიცას სერია ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის? ტურნირში მონაწილეობდნენ ინტელექტუალები მთელი საქართველოს მასშტაბით. ყველა თამაში მოიცავდა 6 თემას, ხოლო თითოეული თემა - 5 კითხვას (10, 20, 30, 40 და 50-ქულიანს). კითხვაზე სწორი პასუხის შემთხვევაში მოთამაშეს ენიჭებოდა შესაბამისი ნომინალის დადებითი ქულა, ხოლო არასწორი პასუხის შემთხვევაში შესაბამისი ნომინალის უარყოფითი ქულა, ბოლოს კი ხდებოდა ქულათა დაჯამება. თამაშები მიმდინარეობდა დისტანციურად ფეისბუქ-ლაივის მეშვეობით, წამყვანი გახლდათ **გიორგი მოსიძე.** ამ ინტელექტუალურ ორთაბრძოლებში, ხონის ინტელექტკლუბიდან მონაწილეობდა **გიორგი ბარაბაძე,** გთავაზობთ მის მიერ ჩატარებული თამაშების სტატისტიკას: 2021 წლის 9 იანვარს **გიორგი ბარაბაძემ** რეიტინგით გაუსწრო 76, 16 იანვარს-55, 16 თებერვალს-21, ხოლო 24 აპრილს-33 ინტელექტუალს.

წარმატებებს ვუსურვებთ გიორგი ბარაბაძეს.

ეფექტურია თუ არა ხონის მერიის ცხელი ხაზის მუშაობა _ მოსახლეობა მის დადებით მხარეებზე საუბრობს

უდავო რეალობაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი დიდია მუნიციპალიტეტებში სიახლეების დანერგვისა და ახალ-ახალი პროექტების განხორციელების საქმეში.

პროექტი „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგაზო რუკის მონიტორინგის მიზნით" ამის ერთი საუკეთესო მაგალითია.

ამ პროექტით მუშაობს ფონდი „სოხუმი" იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან" და მეწარმე ქალთა ფონდთან პარტნიორობით რვა მუნიციპალიტეტში (ხონი, ვანი, ბაღდათი, თერჯოლა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ცაგერი და ამბროლაური). ყველგან და მათ შორის ხონში, შეიქმნა სამოქმედო ჯგუფი და ამ ჯგუფით გათვალისწინებული საკითხებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის სამუშაო ჯგუფი (ჯგუფი დაკომპლექტებულია მერიის, საკრებულოს, მედიის, სოციალური მომსახურების სერვისის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისა და არაფორმალური განათლების დაწესებულების წარმომადგენლებით). სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად და განიხილება ჯგუფით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმდინარეობა. შეხვედრებს ესწრება ფონდი „სოხუმის" პროექტის ასისტენტი **ნინო ჭაბუკიანი.**

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რამდენიმე რეკომენდაციიდან ერთ-ერთი იყო ცხელი ხაზის დანერგვა ხონის მუნიციპალიტეტში, ცხელი ხაზის დანერგვა მოითხოვდა ცალკე სატელეფონო ხაზის დამონტაჟებას და პერსონალის გადამზადებას, ასევე ისახავდა პასუხისმგებლობას ცხელი ხაზის მუშაობაზე, რასაც ორი თვე დასჭირდა და 2020 წლის აგვისტოდან იგი სრულყოფილად ამოქმედდა ფონდი „სოხუმის" მინიგრანტის მხარდაჭერით.

ცხელი ხაზის ამოქმედების იდეა ეკუთვნის ხონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას — განათლებისა და განვითარების ცენტრს „ედელვაისი" და ეს იდეა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ცხელ ხაზს ძალიან მაღე გამოუჩნდა მომხმარებელი, მით უფრო კოვიდ რეგულაციების ფონზე, როცა თვეების მანძილზე ჩაიკეტა სოფლები, არ იყო ცოცხალი კომუნიკაცია მოქალაქეებსა და თვითმმართველობას შორის.

ელისო ჯიქია, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი: „ჩვენს მუნიციპალიტეტში წარმატებით განვახორციელეთ მცირე პროექტი „საზოგადოების ხმა თვითმმართველობაში" და დღეს გვაქვს ცხელი ხაზი. ეს სერვისი, რომელიც ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტმა შესთავაზა საზოგადოებას, ძალიან ეფექტურია, გაამართლა, გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა, ინფორმაციის მიღების ოპერატიულობა. ცხელი ხაზის საშუალებით მოქალაქეები რეკავენ და მათთვის საჭირო ნებისმიერ კითხვაზე ჩვენ კვალიფიციურ პასუხებს ვცემთ. პანდემიის პირობებში მიწევდა ცხელ ხაზზე მუშაობა, ვპასუხობდი საქიროებებიდან გამომდინარე შემოსულ ზარებს და გამოიკვეთა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. ახლა უფრო მეტი ვიცით მარტოხელა მოხუცებისა და ზოგადად, ხანდაზმული საზოგადოების, ჩვენი მოსახლეობის სატკივარის შესახებ, ვართ ბევრი ოჯახის პრობლემების შესახებ ინფორმირებული. ვეცდებავთ, უფრო ეფექტური გავხადოთ ცხელი ხაზის მუშაობა..."

ხონის მერიის ცხელის ხაზის არსებობის დადებითობაზე უამრავი სამადლობელი შეტყობინება და სატელეფონო ზარი მეტყველებს, რომელიც ცნობარშია ჩანიშნული, მე კი მომხმარებელთა სიაში ორი მათგანი შემთხვევითობის პრინციპით ავირჩიე, რომლებმაც ჩემთან საუბარში გულწრფელად გამოხატეს ნდობა სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციების მიმართ.

ხატია ხაჭაპურიძე: „თბილისში ვცხოვრობ, თუმცა როცა მამის საკუთრებაში არსებული მიწების რეგისტრაცია დამჭირდა, რომელიც სოფელ გელავერში მდებარეობს, გუგლში ხონის მერიის ცხელი ხაზი მოვძებნე. მართალია, თავიდან გამიჭირდა დაკავშირება, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ თავად დამირეკეს და ყველა საჭირო ინფორმაცია მშვიდად და ამომწურავად მომანოდეს. მივესალმები ცხელი ხაზის არსებობას, რამეთუ ამარტივებს უამრავი საკითხის ზედმეტი ხარჯისა და წვალების გარეშე მოგვარებას."

მეორე ქალბატონი, რომელიც ჯერ გააკვირვა და იმავ ნამს მეტად გაახარა (შესაბამისად მეც გავიხარე) გვიან საღამოს განხორციელებულმა ჩემმა ზარმა და ვინაობამ, **ციხანა მუშკუდიანი** **ალმოჩნდა:** „ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა ხონი კი არა, სამყარო დააპატარავა, შვილო. თქვენივე წერილებითა და საინტერესო პოსტებით ვიცნობთ, რას ვიფიქრებდი, ერთხელაც მეც თუ მკითხავდით რაიმეს, მით უფრო, ამ თემაზე... ხონის მერიის ცხელ ხაზზე ხშირად არ ვრეკავ, თუმცა როცა კი მიმიმართავს, უპასუხოდ არასოდეს დავუტოვებივართ. გაუჩენელს ვერ გამიჩენენ და ვერც უკანონოდ მირჩევენ რაიმეს, მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას კი კომპეტენტურად მაწვდიან, მათ მეტი არც არაფერი ევალებათ"...

ხონის მერიის ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი მობილური ოპერატორიდან და ყველა ფიქსირებული სატელეფონო ქსელიდან. ამისათვის მოქალაქემ უნდა აკრიბოს ნომერი 595 33 25 44 და მათ 24 საათის განმავლობაში უპასუხებენ. დარეკვის იგივე წესი მოქმედებს საქართველოს რეგიონებიდანაც.

გურანდა ცაგურია

მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები

სოფელ პატარა ჯიხაიშში, გოჩა ჯიხაიშისკენ მიმავალ გზაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ვალერი ბახტაძემ** ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე **ზაზა ვაშაკიძესთან** ერთად მოინახულა სამუშაოები და ადგილზე დასაქმებულებს გაესაუბრა. სამუშაოებს შ.პ.ს „ორიენტირი" ახორციელებს.

საქმის ერთგული ქალბატონი

ჩვენი მუნიციპალიტეტი არ განიცდის კარგ სპეციალისტთა ნაკლებობას, მათ შორის არის თავმდაბალი, კეთილსინდისიერი, საქმის ერთგული ქალბატონი **ლია გელენავა.** მისი სიტყვა და საქმე ერთია. ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ იყოს ღირსეული მოქალაქე, მეუღლე, დედა.

მისი პროფესია რთული, აქტუალური და დასაფასებელია. იგი მაღალ პროფესიულ დონეზე

ემსახურება ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის აგრარულ საქმეთა განყოფილებას, რომლის უფროსიც გახლავთ. მან შეძლო ამ საპასუხისმგებლო სისტემის უნარიანად მართვა. მისი მუშაობის პერიოდში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა შორის აღსანიშნავია პროექტი „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში.

2021 წლის 22 აპრილს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში, პროექტ „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა „იმერეთის მეცნიერთა კავშირი სპექტრი“-ს წარმომადგენლებთან. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ნარჩენების სეპარირების პოპულარიზაცია, გარემოს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების გზით.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ საქართველოს, მოლდავეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის სომხეთის ფილიალი, ქალაქ უნგენის მერია (მოლდოვა), ასოციაცია ტექნოპოლი გალაცი (რუმინეთი) და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირის სპექტრი.

შეხვედრას უძღვებოდა იმერეთის მეცნიერთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ქ-ნი **ქეთევან ცხაკაია,** რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოკლე ინფორმაცია პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. პროექტის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტი მიმდინარე წელს დაიწყებს ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, გეგმასთან დაკავშირებით შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში ადგილობრივი გარემოს დაცვითი სამოქმედო გეგმის ისტორია და ადგილობრივი გარემოსდაცვითი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლითაც მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს გეგმის შემუშავების პროცესში.

შეხვედრაზე აკ.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, პროექტის ეკოლოგმა **ციცინო თურქაძემ** ისაუბრა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებებისა და საქართველოს გამოწვევების შესახებ გარემოს დაცვის სფეროში.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, უნდა ჩამოყალიბდეს ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გარემოს მდგომარეობის გაჯანსაღებაში. ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობისა და სტრატეგიების საფუძველზე მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოადგენს ნარჩენების სეპარირება / რეიკლირების დანერგვა.

პროექტი „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, იმერეთის მეცნიერთა კავშირმა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ხონის მუნიციპალიტეტს პლატიკის ნარჩენების საპრეს მოწყობილობასთან ერთად საჩუქრად გადასცა 20 პლასტმასისა და 10 ქაღალდის შემკრები კონტეინერი, რომლებიც განთავსდა ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა ლოკაციებზე.

მოკლედ მოგითხრეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტზე, რათა ახლოს გაგვეცნო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის საქმე, რომელსაც ქალბატონი **ლია გელენავა** აკეთებს. იგი სწორად აღიქვამს და აფასებს მოვლენებს და ღირსეულ ადგილსაც იმკვიდრებს საზოგადოებაში.

მომავალში მას ვუსურვებთ თავის საქმეში წარმატებებს და წინსვლას ცხოვრებაში.

ქეთევან ბახტაძე

კიდევ ერთი ზრადღესია...

აკ.ტერელაძის სახელობის ქუტირის საჯარო სკოლაში, მიუხედავად პანდემიისა, ყველა რეკომენდაციის დაცვით, ბევრი ლამაზი ღონისძიება ტარდება, მოხდა პროექტებისა და პრეზენტაციების წარმოდგენა, შიდასასკოლო ოლიმპიადაში ბევრი გამარჯვებული გამოვლინდა, ბიბლიოთეკაში დასამახსოვრებელი და თემატურად მრავალფეროვანი ღონისძიება გაკეთდა და ა.შ. მაგრამ, როგორც ყოველთვის, სპორტული ღონისძიებანი მოსწავლეებისათვის მეტი მოტივაციისა და სტიმულის მიმცემია. ჩვენი სკოლის ბავშვების შედეგები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ცნობილია მთელს მუნიციპალიტეტში და შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ არ ვღალატობთ ტრადიციებს და პირველობას წლებია არავის ვუთმობთ ფეხბურთსა და მძლეოსნობაში...

ამ დღეებში, უფრო ზუსტად 13 მაისს, დირექტორის ბ-ნ. **ზურაბ თოდუას** ინიციატივით გადაწყდა ყოველი წლის მაისში ჩატარდეს შიდასასკოლო პირველობა ფეხბურთში და სკოლის გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდეს გარდამავალი თასით, რომელზედაც ამოტვიფრული იქნება წარწერა **„1981 წლის 13 მაისი“.** ყველასთვის ცნობილია, რა მოხდა - თბილისის **„დინამომ“** ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა **„კარლცეისთან“** და გახდა ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი, ამ ისტორიული მატჩიდან 40 წელი გავიდა. სწორედ ეს იყო მიზეზი ტრადიციის დაფუძნებისა, მიზანი კი ერთია -ახალგაზრდებს შევახსენოთ წარსული დიდება, საფეხბურთო მიღწევები და რომ შრომის გარეშე ძნელია გამარჯვების გვირგვინი მოიპოვო...

ბ.ნ-მა **ზურაბ თოდუამ** სპორტის მასწავლებელთან **გიორგი რუხაძესთან** ერთად გამოაცხადა საფეხბურთო კვირეული სკოლაში და გუნდებს წარმატებანი უსურვა. საინტერესო და სანახაობრივად ლამაზი აღმოჩნდა ფინალი. ერთმანეთს შეხვდნენ მე-10 კლასისა და მე-8 კლასის მოსწავლეები. მერვეკლასელებმა გვაჩვენეს, რომ ღირსნი იყვნენ გამარჯვებისა, მეათეკლასელებმა კი დაიმსახურეს გამარჯვება, მათვე გადაეცათ გარდამავალი თასი. ამით კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი ქუტირის საჯარო სკოლაში. ეს ხელს შეუწყობს ბავშვებში ფეხბურთის პოპულარიზაციას (ალარაფერს ვამბობთ სხვა ასპექტებზე!), **იმ „დინამოელების“, სახელოვანი ბიჭების გახსენება-გაცოცხლებას, რომელთაც უდიდესი სიხარული, დაუვიწყარი გამარჯვება აჩუქეს ქართველ ერს.** ამ საარაკო დღის შესახებ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეს ბ-ნ-მა **ზურაბ თოდუამ, გიორგი რუხაძემ...**

ვინ იცის, იქნებ ჩვენს სტადიონზე დარბის მომავალი **დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, დავით მუჯირი, რამაზ შენგელია, ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა...**

სხვათა შორის, ჩვენი მოსწავლეები მერამდენე წელია ელოდებიან სპორტული დარბაზის გარემონტებას... დაპირებაც არის და დაპირებაც! იმედიც კარგია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული... არადა, მართლა როგორი მიღწევები გვაქვს?!-შე-სა-შუ-რი!!!

მაია ფეიქრიშვილი

ვცდილობთ, სოციალური პროგრამები მოსახლეობაზე იყოს მორგებული...

მიუხედავად პანდემიისა, ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი რამ კეთდება...რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუ ჩავწერეთ ორ არასწულებრივ ქალბატონთან, რომელთა საუბარმა დამამშვიდა და დამაფიქრა იმ საკითხებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც დღემდე გადაუწყვეტის, გადაჭრის ფაბაში და ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა იყოს და რომელთა გადასაწყვეტად ეს ქალბატონები ძალისხმევას არ იშურებენ.

...გთავაზობთ ინტერვიუს ხონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ქ-ნ მანანა გოფოძესთან და სოციალური სამსახურის უფროსთან ქ-ნ ლეილა კინწურაშვილთან.

-დღევანდელ ვითარებაში, ჩვენს მუნიციპალიტეტში რა არის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? თუ ჰქონდა ადგილი ძალადობის ფაქტს?

-ქ-ნი მანანა გოფოძე: ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, მაგრამ პანდემიის პირობებში პრიორიტეტი ენიჭება ჯანდაცვას და სოციალურ საკითხებს. კოვიდთან გასამკლავებლად შევძელით უმოკლეს დროში მობილიზება ყველა რესურსის, ბიზნეს სექტორთან ერთად მოვახერხეთ დავხმარებოდით 470 ოჯახს – შშმპ, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, მოხალისეთა ჯგუფები სადილს აწვდიდნენ 70 წელს გადაცილებულ ხონელებს, და ა.შ. ერთი სიტყვით, მერიის ყველა სამსახური ხალხის პრობლემებზეა მიყურადებული და შეძლებისდაგვარად უპასუხოდ არ ტოვებს მათ თხოვნას...

-ქ-ნი ლეილა კინწურაშვილი: მთელი ჩვენი სამსახური პანდემიის პირობებში არ ვყოფილვართ ონლაინზე, ყველა ვიყავით სამსახურში, ქალბატონ მანანასთან ერთად, რომ სათანადო ყურადღება და დახმარება გაგვეწია მოსახლეობისათვის. რაც შეეხება ძალადობის ფაქტს, ეს იყო წლების წინათ - სუხჩეში სახლი დაუწვა მეუღლემ ცოლ-შვილს, თუმცა მას არ ჰქონდა შემაკავებელი ორდერი, რის გამოც ვერ დავეხმარეთ...

-რამდენად არის მოსახლეობა ინფორმირებული მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი პროგრამების შესახებ.

-ქ-ნი ლეილა კინწურაშვილი: ჩვენ ინფორმაციებს სისტემატურად ვაწვდით მოსახლეობას, პირველ რიგში სოფლის რწმუნებულების საშუალებით, შემდეგი არის სოფლის განვითარების პროგრამა და სოციალური სამსახურის ვებ-გვერდი. მოსახლეობა საკმაოდ მომზადებული მოგვმართავს. ასე რომ, ინფორმაციული ვაკუუმი ხონში ნამდვილად არაა. გაიზარდა ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის, უსინათლოთა, ავთვისებიან სიმსივნით დაავადებულთა სოციალური პაკეტები. სამწუხაროდ, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 160-მდე ბენეფიციარი გვყავს, რომელთაც წლის განმავლობაში 1200 ლარი ეძლევათ სოციალური პაკეტიდან და ამასვე ემატება მისი სოც. ქულებიდან 150 ლარიდან 400 ლარამდე. განვაახლეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ქალაქის მერი, მოადგილეა **მანანა გოფოძე.** საბჭოს შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა, საბჭოში ოთხი შეზღუდული შესაძლებლობის პირია...

-ქ-ნი მანანა გოფოძე: საბჭო მიზნად ისახავს 5 ძირითადი ამოცანის გადაჭრას, რაც გააუმჯობესებს ბევრის მდგომარეობას, მუნიციპალიტეტში 1046 შშმპ-ია. ეს ცოტა ციფრი არაა... რაც შეეხება კოვიდს, ყველა ხონელს ერთჯერადად ეძლევა 150 ლარი, რათა ჩაიტაროს მისთვის აუცილებელი სამედიცინო შემოწმება...გარდა ამისა, კიდევ არის სხვადასხვა სახის სოც. პროგრამები. ჩვენ ვცდილობთ მიზნობრივად გავცეთ თანხები...

-ქ-ნი ლეილა კინწურაშვილი: ჩვენთან მოქმედებს რეინტეგრაციის პროგრამა. ეს რას ნიშნავს — ბავშვები, რომლებიც ოჯახიდან იყვნენ მოცილებული, პროგრამის მიხედვით მოხდა მშობლებზე ხელშეწყობა ფინანსურად, რათა მათ შეუქმნან მშობლიური, თბილი გარემო და საკუთარ სახლებში დააბრუნონ ბავშვები... პროგრამის მიზანია ასეთი ოჯახების გაძლიერება, განვითარება, ხელშეწყობა. დღეისათვის 4 ასეთ ოჯახს გავუწიეთ დახმარება.

-ქ-ნი მანანა გოფოძე: პროგრამა 3 წელია მუშაობს, თითოეულ ოჯახს ვაძლევთ 1500 ლარს წელიწადში, ანუ მათ მიიღეს 4500 ლარი სულ. რეინტეგრაციის პროგრამა არის ძალიან ეფექტური.

გარდა ამისა, ხონში მოქმედებს საოჯახო ტიპის სახლი, სადაც ცხოვრობდა ერთ-ერთი ასეთი ოჯახი და ამ პროგრამით მიღებული თანხით დედამ მოახერხა შვილებთან ერთად საოჯახო სახლიდან გაეყვანა ბავშვები და ახალი ცხოვრება დაეწყო...

-რამდენად ასახავენ ან მორგებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოსახლეობაზე?

-ქ-ნი მანანა გოფოძე: მომართვიანობიდან გამომდინარე, ჩვენ ცვლილებები შევიტანეთ სოციალურ პროგრამებში. მაგ: აუტისტი ბავშვების სარეაბილიტაციო პროგრამაში, თუკი აქამდე ასაკი განსაზღვრული იყო 0-დან 7-წლამდე, ახლა გავზარდეთ 15 წლამდე. სულ 16 აუტისტი ბავშვია, თითოეულს 200 ლარი გადაეცემა ყოველთვიურად.

-ქ-ნი ლეილა კინწურაშვილი: ასევე ბენეფიციარებს, ვისაც აქვთ მხედველობის მკვეთრი შეზღუდვა, თვეში ვაძლევთ 50 ლარს, ასეთი 56 ადამიანია ხონში. სხვათა შორის, ბევრჯერ აღუნიშნავთ ჩვენი დახმარების პაკეტის ეფექტიანობის შესახებ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა მცირე შემოსავლები და ბიუჯეტი გვაქვს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც მაქსიმუმს ვაკეთებთ მოსახლეობისათვის. მარტო გასულ წელს 885 ბენეფიციარს დავეხმარეთ სხვადასხვა მუხლით.

-როგორ შეაფასებდით არსებული პროგრამების გავლენას მოსახლეობის ცხოვრებაზე?

-ქ-ნი მანანა გოფოძე: ყოველთვის ვფიქრობთ და ვცდილობთ, სოციალური პროგრამა თითოეულ ადამიანზე იყოს გათვლილი და მორგებული. ასე მაგ.თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია „იმერეთისა“ და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით სათნოების სახლის ბაზაზე შეიქმნა დროებითი თავშესაფარი, სამჯერადი კვებით. პროექტი ემსახურება სოციალურად დაუცველ, ყველაზე მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენლობას, რომელთაც არა აქვთ საცხოვრისი, ბენეფიციარი 10 თვე დარჩება, მისი ბინის ქირა და სამჯერადი კვება დაფინანსებული იქნება.

-თქვენი მოსაზრებით თქვენს მუნიციპალიტეტში რომელ სამიზნე ჯგუფს სჭირდება დახმარება?

-ქ-ნი მანანა გოფოძე: ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვები და მათი სოციალური მდგომარეობა. ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ. აქედან გამომდინარე, მერიაში უნდა შეიქმნას შესაბამისი განყოფილება, რომელიც სრულყოფილად შეისწავლის ბავშვთა პრობლემებს... ყოველდღე მერიაში 30-მდე წერილი შემოდის, ამიტომ ცხადია, მუშაობა მართლაც რუტინულია...

რამდენად ხშირად მიმართავს მოსახლეობა დღეს თვითმმართველობას დასახმარებლად?

-ქ-ნი ლეილა კინწურაშვილი: ყოველდღიურად მოგვმართავენ წერილებით, განცხადებებით, უშუალო კონტაქტით. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, უკმაყოფილო არავინ გავუშვათ.

-ქ-ნი მანანა გოფოძე: თვითმმართველობის და სოციალური დახმარების იმედი ნამდვილად აქვს ხალხს. კომუნიკაცია ყოველთვის აქტიურია და წარმოდგენილ პრობლემებს და პრიორიტეტულ საკითხებს ყოველთვის მოყვება ჩვენი მხრიდან სწრაფი რეაგირება.

ჩვენ ნაწილობრივ გავეცანით სამსახურების მუშაობის პროცესს და მართლაც ფასდაუდებელია მათი რუტინული შრომა და, რაც თვალში საცემია, ყველა თანამშრომელი არის კეთილშობილი, თბილი, გულწრფელი, ბენეფიციარზე მზრუნველი და მუდამ შემართული მათ დასახმარებლად. ეს ცოტას არ ნიშნავს უიმედოდ დარჩენილი, ხელჩაქნეული, შეჭირვეული ადამიანებისათვის.

P.S. წერილი მზად იყო დასაბეჭდად, რედაქციაში მორიდებით შემოიხედა სანდომიანმა ქალბატონმა და ასევე მორიდებით გვთხოვა, სამადლობელი დაგვეწერა. ყურადღებით მოვუსმინეთ და გული მოგვეწურა ამ საოცარი ადამიანის გაჭირვების გამო. ცრემლით, ათრთოლებული, გულამომჯდარი ყვებოდა როგორ ებრძოდა სიკვდილს... „რომ არა სოციალური სამსახური, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი“, — გვითხრა ქალბატონმა, რომელმაც არ ისურვა სახელისა და გვარის გამჟღავნება (!). შემდეგ განაგრძო: „ქალბატონ ლეილა კინწურაშვილთან მივედი, დაიმედებული დავბრუნდი სახლში. თუმცა, მთლად არ მჯეროდა დაპირებების. მაგრამ, როცა ყველაფერი ისე გამიკეთეს, როგორც დამპირდნენ, მაშინ ამოვისუნთქე და ვთქვი, ჩემი კატეგორიის ხალხი განწირული არ ყოფილა. სახელმწიფო მართლა ზრუნავს შეჭირვებულებზე...

მინდა გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა და კიდევ უფრო დიდი მადლიერება გამოვხატო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ქ-ნ მანანა გოფოძისადმი, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი მდგომარეობა და თვითონ პირადად მომიგვარა ბევრი პრობლემა, ქ-ნ ლეილა კინწურაშვილს, ქ-ნ მარიზა ჯანელიძეს, ქ-ნ თამარ ჩხენკელს, ბ-ნ მამუკა ჭავჭანიძეს, ექიმებს მათე ჩანქსელიანს, ნაზი გეგიას და, რა თქმა უნდა, ბ-ნ ლადო ჯურხაძეს მრავალგზის დახმარებისათვის.

სიცოცხლეს თქვენ გმადლობთ ჩემო ძვირფასებო.

იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

მაია ფეიძრიშვილი

ჩვენო დალი!

დალი გენიძის გამოსათხოვარი

25 მაისს 75 ნელი შეგისრულდებოდა. სწორედ 25-ში მიეახლე უფალს. არადა, როგორ გიყვარდა ეს დღე. როგორ გახარებდა ჩვენი ტრადიციული სტუმრობა. შენი გაცისკროვნებული თვალები, სიხარულით აცახცახებული ხელები ახლაც თვალწინ გვიდგას. **„გელოდებოდით, სადა ხართ ამდენ ხანსო“,** - გეუტყოდი და სათითაოდ რამდენჯერ გულში ჩაგვიკრავდი, მერე გამოგვკითხავდი ოჯახისა და სამსახურის ამბებს...

ჩვენო დალი, პატარა გოგო მოხვედი თურმე, რედაქციაში და თითქმის ნახევარი საუკუნე ოჯექი საბეჭდ მანქანასთან. მერე კომპიუტერსაც გაეთამაშე, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი დაგრია და ადრიანად გაიხურე რედაქციის კარი. ბოლომდე იმედით ცოცხლობდი. თუმცა, მეუღლის გარდაცვალებამ ძალიან გაგტეხა და მალე გაუყევი საუფლო გზას...

უფალს ებარებოდე ჩვენო დალიჩკა. ყველას გვახსოვს შენი დედობრივი მზრუნველობა, დიდი სიყვარული ჩვენი შვილებისადმი, რომელსაც არ დავივიწყებთ და გაგიხსენებთ, როგორც რედაქციის დედა-ქალბატონს, მხიარულს, მომღიმარს, პროფესიონალს, თბილს, ტკბილს, რომელიც მაისის ლამაზ დღეს მოევლინა ქვეყანას და მაისშივე გაეცალა წუთისოფელს, გაიყოლა მონატრება შვილისა, სიყვარული შვილიშვილებისა, შვილთაშვილებისა, ახლობლებისა და რედაქციის გოგოებისა. ჩვენი ქეთინო დაგხვდება, დალი, ვიკი ჩიხლაძე, გივი კაკაბაძე, ბადრი ნამიჩეიშვილი, ვალოდია ბულეიშვილი, ტარასი აკობიძე, ბელა ყვინჩია, გოგონა ქელიძე, გიგლა მუშკუდიანი, სხვები და სხვები, ყველანი ერთად იქნებით იმ ლამაზ სოფელში, სადაც მართალნი განისვენებენ.

გაზეთ „ხონის“ რედაქცია

დაბადების დღეს გილოცავ, ჯული!

ჯულიეტა გახტაძის ხსოვნას

თვალსა და ხელშუა გაგვპარვია წლები — ურთიერთსიყვარულით, ურთიერთპატივისცემითა და სითბოთი გაჯერებული. არადა, ჩვენი ნაცნობმეგობრობა თითქმის 5-ათეული წელს მოითვლის, ჩვენ ხომ მეორესკოლაგამოვლილები ვართ, აი, რა დროიდან იღებს სათავეს ჩვენი ურთიერთობა. შემდეგ ინსტიტუტდამთავრებულები შევხვდით ერთმანეთს, ჩვენი სამსახურები ერთ შენობაში, ერთ სართულზე იყო განთავსებული, შენი – საპროექტო ბიურო, ჩემი – მაშინდელი გაზეთი „კომუნიზმის გზით“, და, წარმოიდგინე, მას შემდეგ მართლაც რომ ბევრ დროსა და ხანს გამოუვლია, და, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ხდება, უკან მოხედვა არც გვიფიქრია, რომ არა პრობლემა, რომელიც წარსულში გვახედებს, წლებს გვაანალიზებინებს და გვათვლევინებს, გვახსენებს განვლილს, გასახსენებელი და მოსაგონარი მართლაც ბევრი გვაქვს, მაგრამ... მაგრამ... ოხ, ეს მაგრამ რომ არ არსებობდეს... როგორ წარმოიდგენდი, რომ არსთა მპყრობელი ყოველთა ჩვენს ურთიერთობას, სიყვარულს, კეთილგანწყობას, რასაც უანგარო მეგობრობა ჰქვია, ასე ერთი ხელის მოსმით ხელყოფდა...

საოცრად მიმძიმს, ვიცი, დამიჯერებ, ასე ელვისუსწრაფესად განვითარებული მოვლენების ვამო, ასე უდროოდ, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერებით გამორჩეული, უერთგულესი, შესანიშნავი მეგობრის იმიერში გადასახლებას.

დღემდე სათუთად ინახავს ჩემი მეხსიერება შენი ნიშნობის ულამაზეს, განუმეორებელ წუთებს, შენი და დემურის ქორწინების ბედნიერებით, სიხარულითა და სიყვარულით სავსე დღეს... შემდეგ კი თქვენს ქართულ ტრადიულ ოჯახში თქვენი სიცოცხლის გამგრძელებელთა - შენი ირაკლისა და ლევანის შემომატებას, შემდეგ რძლისა და ორი შვილიშვილის... და რომელი ერთი გავიხსენო ჩემო ჯული დღევანდელი გადასახედიდან გარდასული დღეებისა, უკვე ისტორიის კუთვნილებისა.

როგორ მჯეროდა, რომ შენი შემართება, შენი ძლიერი ბუნება დაამარცხებდა დაავადებას და შენ გამარჯვებული გამოხვიდოდი, ამ ბოლოს, 1 მაისს, ტელეფონზე რომ ვისაუბრეთ „მაისი ტანზე თეთრად მომათოვს, მთენთავი სუნი ექნებათ კორდებს, ისეთი რამე უნდა ვინატრო, ახდენის ცოტა იმედი მქონდეს“ სალექსო სტრიქონები ახმოვანდა სულში, ცოტა კი არა, მთელი წლის მანძილზე დიდი იმედი მქონდა, თვითდაჯერებულიც ვიყავი, რომ ავ სენს დაამარცხებდი, მაგრამ ეს მარტო ოცნებაში ყოფილა შესაძლებელი...

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო საყვარელო მეგობარო, უსაზღვრო სინანულის გრძნობით სავსე, იმიერში გადასახლებულს სულ რამდენიმე დღის წინ.

იმას, რასაც გულით ვგრძნობ და განვიცდი, შენი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი ვერანაირად ვერ გადმოსცემს, ენა უძლურია იმის გადმოსაცემად, თუ როგორ მტკივა და როგორ დამაკლდება შენი ამქვეყნად არარსებობა.

სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა შენს სპეტაკ სულს, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს ჩემო სათნო მეგობარო!

ნუნუ ფანცულაია

მშვიდობით მეგობარო!

ალექსანდრე აკობიძის გამოსათხოვარი

გარდაიცვალა **ალექსანდრე აკობიძე.** სამწუხაროა, რომ ერთი ღირსეული ხონელი კიდევ შეიწირა ვერაგმა კორონა ვირუსმა. ალიკო, ჩვენო უფროსო მეგობარო, სიტყვებიც ვერ მოვძებნეთ ისეთი, შენ რომ შეგეფერება. შოკირებული ვართ ყველანი. თავზარდამცემი ამბავია.

... **ალექსანდრე აკობიძე** არ მოკვდენია მის ოჯახს, სანათესაოსა და სამეგობროს. იგი მთელს ხონსა და ხონელებს დააკლდება. მან შექმნა ეპოქა, გააერთიანა და დააფრთიანა თაობები და მასთან ერთად დასრულდა ყველაფერი... ის იყო გამორჩეული საქმეში, გამორჩეული დროში, გამორჩეული ხონში. მისით სუნთქავდა ქალაქი. სადაც კი მისი ხელწერა იყო, იქ იყო პენი, წესრიგი, პასუხისმგებლობა, სითბო, სიკეთე, სიყვარული, ბედნიერება, იმედი... დღესასწაული!

მძიმე ჟამი გვიდგას, ხონელები ერთმანეთს ვუსამძიმრებთ, ბედნიერი ხარ, ალიკო, რომ ამდენი სიყვარული და ცრემლი მიგაცილებს. წლებს რა მნიშვნელობა აქვს. შენ უკვდავების ძეგლი შენი ნაკეთები საშვილთაშვილო საქმეებით სიცოცხლეშივე დაიდგი. ესაა რომ, სამი ანგელოზი ვაჟკაცის სიხარულს ვერ გაიზიარებ, ნინოს საყრდენი გამოეცალე, სანუკვარ დედას სიბერე გაუმწარე... და ჩვენ, ყველანი დაბნეულები, გულგახეთქილები დაგვტოვე.

...მშვიდობით ჩვენო მეგობარო. არასოდეს დავივიწყებთ შენს ნაღვაწს, შენს ნაამაგარს, რაც მოასწარი ხონისა და ხონელებისათვის. დაგვაკლდები ყველას...

მაია ფეიქრიშვილი,
გაზეთ „ხონის“ რედაქცია

დრო უსწრაფესად გავიდა!

გიორგი მანდარიას ხსოვნას

მართლაც უსწრაფესად გავიდა ცრემლსა და მწუხარებაში ერთი წელი. არადა, გვეგონა დრო გაჩერდა, გიო, შენს გაუსაძლის მონატრებაში. როგორ გვაკლიხარ ყველას. უშენობა კიდევ უფრო გვტკივა. როგორი ბედნიერი და წარმატებული მომავალი გელოდებოდა ჩვენო ნიჭიერო ბიჭო. რამდენი ლამაზი ჩანაფიქრი გქონდა შვილო. ყველა შენს ნაოცნებარსა და ნაფიქრს წუთისოფლის სასტიკმა განაჩენმა ბოლო მოუღო. გულდათუთქული შენი მშობლები, შენი თბილი, ტკბილი ახლობლები სურათებით გეფერებიან, გესაუბრებიან, ცივ ქვას ცრემლებით ათბობენ, შენი მოციმციმე თვალებიდან სიყვარულს, სითბოს, სიკეთეს, სიხარულს ელიან და თრთოლვით აცახცახებულები ერთმანეთს შენთან შეხვედრის იმედით ამხნევებენ...

ალბათ, არ არსებობს სიტყვა, რომელიც სანუგეშოს გამოხატავს შვილმკვდარი მშობლებისთვის. ჩემო კეთილო ხალხო, გულწრფელად თანაგიგრძნობთ, თქვენ ისეთები ხართ, ამ სატანჯველისთვის ვერ გიმეტებთ, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ?! ყველამ ერთად ვილოცოთ ჩვენი ბიჭის სულის ცხონებისთვის. უფალმა დაუმკვიდროს სიმშვიდე და განისვენოს საუკუნო სასუფეველში.

ავთო და ნატო მუსელიანები

ტკივილიანი ერთი წელი...

პავლიკა კოვზირიძის გახსენება

რა ულმობელია წუთისოფელი, არა?! მართლაც, რომ ასეა!.. ჩიტივით გაფრინდა შენი სიცოცხლე ჩემო პავლიკა. უკვე ერთი წელია, რაც ნახვედი ჩვენგან და სამუდამო სასუფეველი დაიდე იმიერში. შენ ჩემი მამიდაშვილი კი არა, ჩემი ძმა იყავი. ერთად გავიზარდეთ, მეგობრულად, გვერდი-გვერდ დგომით, ქირსა თუ ლხინში, ერთმანეთის ტკივილის გამზიარებელი ვიყავით ჩემო პავლიკა, ჩემო მონატრებულო ბიჭო, ჩემო დიდი ტკივილო... როგორ მიჭირს და მიმძიმს შენზე ნარსულში საუბარი ვერ ნარმოიდგენ, როგორ ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ შენ ჩვენს შორის აღარ ხარ... როგორ მენანება რომ შენეულად ველარ შემოაღებ ჩვენი სახლის კარებს, და აღარ შემოხვალ მომღიმარი, მოციმციმე, სიკეთით სავსე თვალებით...

...მართლაც, რა არის ჩვენი ყოფა? - დრო უსწრაფესად გავიდა ჩემო პავლიკა. უკვე ერთი წელია შენს გარეშე ვართ და თვალცრემლიანები გიხსენებთ ყოველთვის, გვენანები ცივი მიწისთვის, ასეთი ხანმოკლე სიცოცხლისათვის, სიცოცხლისათვის, რომელიც 32 ნლის ასაკში შეწყდა...

შენ ერთი უბოროტო ადამიანი იყავი ჩემო ძმაო, ყველას გულში დატოვე ზღვა სიყვარული და დიდი სევდა, ტკივილი, ქრილობა, რომელიც არასოდეს არ მოშუშდება...

უფალს ებარებოდე პავლიკა, ცხონდი და განისვენე მშვიდად იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

სალომე კალატოზი

უფალს ებარებოდეთ!

მაყვალა და დავით ჩირგაძეების ხსოვნას

ცხოვრება ერთი დიდი წიგნია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი წერს და... და მერე ვხურავთ მას და ვუახლოვდებით საუფლოს, სადაც მარადიული სასუფეველი გველოდება.

ყველა ჩვენგანს გვიდგას ჟამი სიხარულისა და ჟამი მწუხარებისა. საბედნიეროდ, ერთეულების წიგნი სქელტანიანია, ზოგიერთების კი - მცირე. დგება ყოველდღიურობასთან განშორების ჟამიც. დგება ჟამი საყვარელ, ძვირფას ადამიანებთან გაშორებისა და საშინელი სიცარიელე იქმნება. ასე იყო ერთი ნლის წინათ ჩირგაძეების ოჯახში დედა-დიასახლისი, დიდი ქალბატონი მაყვალა გარდაიცვალა. გაჩერდა ქმარ-შვილზე, შვილიშვილებზე, ახლობლებზე გადაყოლილი გული. ვერაფრით ვერ შეეგუა ბ-ნი დავითი მეუღლის გარდაცვალებას. დარდმა დაისადგურა მის გულში, სულიერად გატყდა ეს დიდებული კაცი. თითქოსდა დაპატარავდა, ძალა გამოეცალა და ახალი საზრუნავი გაიჩინა - მალე დადგომოდა მაყვალასკენ - ძვირფასი მეუღლისაკენ მიმავალ გზას.

...ასეც მოხდა, ამ დღეებში მისი სული მიეახლა საუფლოს და სამარადისო ბინა დაიდო იმ დიდ სიყვარულთან, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა და მონატრებამ, გაუსაძლისმა მონატრებამ გული მოუწურა. ჩუმად, ფეხაკრეფით გაეცალა სანუთროს.

იჩქარე, დავით ბიძია. შენი ვაჟკაცური თანადგომა შენს პაატას და ზაზას ახლა უფრო ჭირდებოდა. დედის მზრუნველობაც და სიყვარულიც ბიჭებს შენგან უნდა მიეღოთ... მაგრამ ასე ამჯობინე...

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ, მაყვალა და დავით ჩირგაძეების სახელები თქვენს დიდებულ ოჯახში არასოდეს მიეცემა დავიწყებას. არაჩვეულებრივი რძლის - იზას, შვილიშვილების, შვილების, ახლობლების ხსოვნაში მუდამ დარჩებით, როგორც სამაგალითო მეუღლეები, მშობლები, საყვარელი ბებია-ბაბუა. თქვენ უერთმანეთოდ არ შეგეძლოთ. ამიტომ მართლაც ტანჯვა იყო ცალულელა დავითისთვის მეუღლესთან განშორება...

უფალს ებარებოდეთ! ამინ!

მარიტა

ცაცა, მაია, მიშიკო, პაატა ფეიქრიშვილები, აკაკი, პეტო რუხაძეები თანაუგრძნობენ ლერი, თემური, კახა, ლევან, ესმა კუხალაშვილებს ძმის, ბიძისა და მაზლის

ლევან კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქეთინო და ციცინო ბახტაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მედიკო, თამუნა, ნიკა რუხაძეების, ფერიდე ბაბუნაშვილის, ნუნუ სურმავა-ბაბუნაშვილის ოჯახებს მეუღლის, მამის, მამამთილისა და მზახლის

ოლეგი რუხაძის

გარდაცვალების გამო.

ნუნუ ფანცულაია, თინათინ და სოსო დადუნაშვილები თანაუგრძნობენ დემური სულაბერიძის ოჯახს შესანიშნავი, უანგარო, კდემამოსილი, ულალატო ქალბატონის

ჯულიეტა იროდის ასული გახტაძის

გარდაცვალების გამო.

ქუტირის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები, მშობლები, დამრიგებელი ირა ბენდელიანი თანაუგრძნობენ მარიამ ბაიდაურს ბაბუის

აკაკი ჩხვიმიანის

გარდაცვალების გამო.

გორდის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი თანამშრომელი

დავით ჩხეიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ჭირისუფალთ.

კუხის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის პედაგოგს ეკა ლიპარტელიანს ბიძის

ზურაბ ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნუნუ ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი „ხონი“
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
ს/კ 444957913
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
მოლიკარბე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხონელი ენ“-ში
დიზაინერი თეა პაპაბაძე
ოპერატორი სალომე პალატოზი
ქუთაისი, იელია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი